



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის
შედგენის მეთოდოლოგია

2013

შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა წარმოადგენს დოკუმენტს, რომელიც განისაზღვრება ორგანიზაციის აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტებისა და საქმიანობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით. აღნიშნული გეგმის მიზანია, სას-ის აუდიტორული საქმიანობა ორიენტირებული გახადოს საჯარო ფინანსების მნიშვნელოვან საკითხებზე და ხელი შეუწყოს ორგანიზაციის არსებული რესურსების სწორ განაწილებას.


აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის აღნიშნული მეთოდოლოგია ასახავს დაგეგმვის პროცესში გამოყენებულ კრიტერიუმებს. აღნიშნული მეთოდოლოგია შემუშავებულია წამყვანი აუდიტორული ორგანიზაციების საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რისკებზე დაფუძნებული მიდგომა მიზნად ისახავს ერთი მხრივ, აუდიტორული საქმიანობის დაგეგმვის პროცესის სისტემატიზაციას, მეორე მხრივ, აუდიტის სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრით, აუდიტის დაფარვის გაზრდას. ამასთანავე, აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს:

- საჯარო სექტორის განსაკუთრებული მნიშვნელობის სფეროებში აუდიტის პოტენციური თემებისა და უწყებების სწორ შერჩევას;
- აუდიტის ობიექტებთან კომუნიკაციის პლატფორმის წინასწარ მომზადებას;
- თითოეული აუდიტისათვის მიღწევადი და შესაბამისი მიზნების განსაზღვრას;
- სას-ის მუშაობის გამჭვირვალობისა და ორგანიზებულობის დახვეწას.

აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის პროცესში ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეებიდან მიღებულ მოსაზრებებსა და ინიციატივებს და ასევე, აუდიტების შერჩევის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს. აღნიშნული კომპონენტების საფუძველზე ყალიბდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთა საფუძველზეც ხდება აუდიტის ობიექტების შერჩევა წლიური გეგმისათვის.



აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა ეყრდნობა ერთი მხრივ, დაინტერესებული მხარეების ინტერესების და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებას. მეორე მხრივ, რისკებზე დაფუძნებული მიდგომის კრიტერიუმებს, რაც გულისხმობს საჯარო ფინანსების მართვის სისტემისათვის მნიშვნელოვანი და მაღალრისკიანი სფეროების იდენტიფიცირებას.

დაინტერესებულ მხარეებთან მოსაზრებები, პირველ რიგში, ეხება პარლამენტიდან მიღებულ ინიციატივებს, რომლებსაც აუდიტის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრისა და წლიური გეგმის ჩამოყალიბების პროცესში სას-ისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. . სახელმწიფო აუდიტის სამსახური უზრუნველყოფს საბოლოო სახით ჩამოყალიბებული წლის აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების პარლამენტისათვის მიწოდებას.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური, აუდიტორულ საქმიანობაში საზოგადოებრივი აზრის მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, უზრუნველყოფს, დამატებითი კომუნიკაციის საშუალებებით, მოქალაქეთა ჩართულობას აუდიტის დაგეგმვისა და საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის პროცესში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ შემუშავებული მოქალაქეთა ჩართულობის ვებ-გვერდის მეშვეობით (www.sao.ge/citizen) თითოეულ მოქალაქეს საშუალება აქვს დააფიქსიროს საკუთარი აზრი სას-ის მიერ განსაზღვრული აუდიტორული საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ამასთანავე, მოქალაქეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ მომდევნო წლის აუდიტის გეგმაში აუდიტის ობიექტის შერჩევის პროცესში.

გარდა ამისა, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ახორციელებს მედია სივრცისა და საჯარო დისკუსიების მონიტორინგს, რაც წარმოადგენს ორგანიზაციის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრის ერთ-ერთ კომპონენტს.

რაც შეეხება პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის ჩამოყალიბებას, აღნიშნული პროცესი ეყრდნობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტების შერჩევის რისკებზე დაფუძნებული მიდგომის ორგანიზაციულს კრიტერიუმებს, აღნიშნული მიდგომა ითვალისწინებს მხარჯავი უწყებების რისკ-პროფილების ფორმირებას, რომლებიც საშუალებას იძლევა, გამოვლინდეს როგორც ცალკეული უწყებების მართვაში არსებული ნაკლოვანებები, ასევე სისტემური ხარვეზები, რომლებიც სისტემურ დონეზე ძალისხმევას-მეთოდოლოგიური ასპექტების ან საკანონმდებლო გარემოს დახვეწას შეიძლება საჭიროებდეს. რისკ-პროფილის ფორმირება ეყრდნობა, ერთის მხრივ, ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის პროცესში ჩატარებულ ანალიტიკურ პროცედურებს და წარსულში ჩატარებული აუდიტების შედეგებს, ხოლო მეორე მხრივ, საჯარო ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებს.

ყოველი უწყებისათვის შექმნილი რისკ-პროფილი ითვალისწინებს ორ ძირითად ფაქტორს: უწყების/პროგრამის მნიშვნელობა საჯარო ფინანსების მართვის სისტემაში(Impact) და უწყების/პროგრამის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები(Probability).

საჯარო ფინანსების მართვის სისტემისათვის უწყების/პროგრამის მნიშვნელობის შესაფასებლად გამოიყენება ორი კრიტერიუმი: 1. საბიუჯეტო ასიგნებების მთლიან მოცულობაში შესაბამისი უწყების/პროგრამის წილი; 2. საზოგადოებრივი ინტერესი აღნიშნული პროგრამის მიმართ.

უწყების/პროგრამის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შეფასება კი, როგორც უკვე აღინიშნა, ეყრდნობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საჯარო უწყებების ბიუჯეტის შესრულების მუდმივი მონიტორინგის ფარგლებში, ასევე წარსული ჩატარებული აუდიტების შედეგად გამოვლენილ მნიშვნელოვან გარემოებებს. ბიუჯეტის შესრულების მუდმივი მონიტორინგი მიზნად ისახავს არსებული ძირითადი ტენდენციების და უწყების/პროგრამის მართვის პროცესში არსებული რისკების იდენტიფიცირებას, რაც უზრუნველყოფს მომდევნო წლის აუდიტის გეგმის შემუშავების პროცესში მაღალრისკიანი უწყებებისა და პროგრამების გათვალისწინებას. რისკ ფაქტორების შეფასება ითვალისწინებს შემდეგ ასპექტებთან დაკავშირებულ რისკებს:

- ორგანიზაციული მართვა, მათ შორის, შიდა კონტროლისა და შიდა აუდიტის ეფექტიანობა
- ბიუჯეტირების პროცესი და მართვა
- საბუღალტრო აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება
- მართვის ეფექტიანობა, მათ შორის: შემოსავლების მართვა; ხარჯების მართვა; შესყიდვების მართვა; აქტივების მართვა; ვალდებულებების მართვა

– ორგანიზაციის ფუნქციების სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა ასპექტები

აღნიშნულ ასპექტებთან დაკავშირებული რისკების შეფასებისას გაითვალისწინება, ერთი მხრივ, გასული წლების აუდიტორული საქმიანობით გამოვლენილი უწყების/პროგრამის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებები, მათ შორის არასწორი მართვის, მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ან თაღლითობის შემთხვევები, ან გაცხადებული და მიმდინარე რეფორმები; მეორე მხრივ, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გასულ წლებში აღნიშნულ უწყებაში/პროგრამაში ჩატარებული პროცედურების ინტენსივობა და სტილი(მაგ. ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში აუდიტი არ ჩატარებულა).

რისკ-პროფილის ფორმირების პროცესში თითოეული აღნიშნული კრიტერიუმით უწყების/პროგრამის შეფასება ხდება ქულათა 0-1 დიაპაზონით, სადაც 1 აღნიშნავს შესაბამისი კრიტერიუმით რისკის არსებობას. მხარჯავი უწყების რისკის ჯამური კოეფიციენტი წარმოადგენს უწყების/პროგრამის მნიშვნელობისა და უწყების/პროგრამის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების კოეფიციენტების ჯამურ მაჩვენებელს. რისკის ჯამური კოეფიციენტის მიხედვით განისაზღვრება მხარჯავ უწყებაში ჩასატარებელი პროცედურების ინტენსივობა და სტილი, კერძოდ დაბალი რისკის კატეგორიაში შემავალი უწყებების ფინანსური საქმიანობის შესწავლა ეყრდნობა მხოლოდ ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგის პროცესში ჩატარებულ ანალიტიკურ პროცედურებს, ხოლო მაღალი რისკის კატეგორიაში შემავალი უწყებების საქმიანობის შესასწავლად ხდება ფინანსური აუდიტების დაგეგმვა, რომელიც ითვალისწინებს შესაბამისი უწყების არამხოლოდ ფულადი სახსრების მოძრაობის, არამედ სრული ფინანსური ანგარიშგების შესწავლას და დასკვნის მომზადებას.

აღნიშნულ პრიორიტეტებსა და კრიტერიუმებზე დაყრდნობით თითოეული დეპარტამენტი სტანდარტულ ფორმაში (იხ. დანართი 1) წარმოადგენს საკურატორო სფეროში შემავალი უწყებებიდან შერჩეულ აუდიტის შესაძლო ობიექტების ჩამონათვალს, რომელთაც თან ერთვის დამატებითი ინფორმაცია უწყების აუდიტისთვის შერჩევის კრიტერიუმებთან დაკავშირებით. აღნიშნულის მიხედვითაც მზადდება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შემაჯამებელი ანალიტიკური მიმოხილვა (იხ. დანართი 2). აღნიშნული ანალიტიკური მონაცემები განხილვა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-4 თავის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პრეზიდენტის სხდომაზე. პრეზიდენტის მიერ მოწონებული აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმა მიეწოდება გენერალურს აუდიტორს, რომელიც სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-2 თავის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის ყ) ქვეპუნქტის თანახმად ამტკიცებს აღნიშნულ გეგმას.

აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შედგენის კალენდარი

ივლისი/აგვისტო – საჯარო სექტორის ზოგადი ანალიტიკური მიმოხილვის მომზადება, პოტენციური რისკებისა და შემდგომი კვლევის თემების იდენტიფიცირება;

სექტემბერი/ოქტომბერი – სახელმწიფო სექტორში მიმდინარე პროცესების ანალიზი, განხორციელებული და დაგეგმილი რეფორმების შესწავლა, მიმდინარე წლის აუდიტორული გამოცდილების განხილვა და ანალიზი;

ნოემბერი – ჩატარებული კვლევების და მონაცემების შეგროვება, მომდევნო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გადახედვა, აუდიტის გეგმის პროექტის მომზადება;

დეკემბერი – სას–ის ხელმძღვანელობის მიერ აუდიტის გეგმის პროექტის განხილვა, ცვლილებების შეტანა და საბოლოო სახის რედაქციის მომზადება;

იანვარი – სას–ის აუდიტორული საქმიანობის პრიორიტეტებისა და აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის საზოგადოებისათვის წარდგენა.

დანართი 1 – აუდიტის დეპარტამენტების აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის ფორმა

შემაჯამებელი ცხრილი

აუდიტის დეპარტამენტი:

მიმდინარე წელი:	
აუდიტის დასაგეგმი წელი:	
დეპარტამენტის პასუხისმგებლობის სფეროში შემავალი უწყებების სახსრები მიმდინარე წლისათვის:	
საბიუჯეტო სახსრები	
საკუთარი შემოსავლები	
აუდიტისთვის შერჩეულ უწყებათა სახსრები მიმდინარე წლისათვის:	
საბიუჯეტო სახსრები	
საკუთარი შემოსავლები	
დეპარტამენტის ##### წლის აუდიტის გეგმის მთლიანი მოცვა	
2010	
2011	
2012	
2013	
დეპარტამენტის აუდიტის მოცვის კოეფიციენტი (%):	
ჩასატარებელი აუდიტების რაოდენობა:	
ფინანსური აუდიტი	
შესაბამისობის აუდიტი	
ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	
ეფექტიანობის აუდიტი	
დეპარტამენტის თანამშრომელთა რაოდენობა:	
მთავარი აუდიტორი	
წამყვანი აუდიტორი	
უფროსი აუდიტორი	
აუდიტორი	
აუდიტორ-ასისტენტი	
აუდიტორ სტაჟიორი	
სტაჟიორი	

წლის სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულებები

- 1
- 2
- 3
- 4
- 5
- 6
- 7
- 8
- 9
- 10

წელს ჩასატარებელი აუდიტები პრიორიტეტული სფეროების მიხედვით

პრიორიტეტი	1	0
აუდიტები	1	
	2	
	3	
	4	
	5	
პრიორიტეტი	2	0
აუდიტები	1	
	2	
	3	

პრიორიტეტი	3	0
აუდიტები	1	
	2	
	3	
	4	
	5	

პრიორიტეტი	4	0
აუდიტები	1	
	2	
	3	
	4	
	5	
პრიორიტეტი	5	0
აუდიტები	1	
	2	
	3	
	4	
	5	
პრიორიტეტი	6	0
აუდიტები	1	
	2	
	3	
	4	
	5	

პრიორიტეტი	7	0
აუდიტები	1	
	2	
	3	
	4	
	5	
პრიორიტეტი	8	0
აუდიტები	1	
	2	
	3	
	4	
	5	
პრიორიტეტი	9	0
აუდიტები	1	
	2	
	3	
	4	
	5	
პრიორიტეტი	10	0
აუდიტები	1	
	2	
	3	
	4	
	5	

აუდიტებზე თანამშრომელთა განაწილების ცხრილი

#	აუდიტორი	პასუხისმგებლობა	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1														
2														
3														
4														
5														
6														
7														
8														
9														
17														
18														
19														
20														



- აუდიტის მიმდინარეობა



- პარალელურად მიმდინარე აუდიტი

*

- ჯგუფის უფროსი

აუდიტის გეგმის შედგენის ძირითადი კრიტერიუმები

უწყების/პროგრამის მნიშვნელობა საჯარო სექტორის ფინანსური მართვის სისტემისათვის

- **დიდი მოცულობის საბიუჯეტო თანხები** - თუკი პროგრამას მოხმარდა 1 წლის მთლიანი საბიუჯეტო ასგიგნებების 5% და მეტი, იგი შეიძლება მოხვდეს განსაკუთრებული საჯარო ინტერესის ნუსხაში;
- **დიდი საზოგადოებრივი ინტერესი** – პროგრამა, რომელსაც აქვს საზოგადოებაზე მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არის დაინტერესებული საზოგადოების მონიტორინგისა თუ დებატების სფეროში;

•

უწყების/პროგრამის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები

- **არასწორი მართვა** - კანონმდებლობისა თუ სხვა რეგულაციების დაუცველობა და სისტემური გაუმართაობა, რომლებიც გამოვლინდა უკვე ჩატარებული აუდიტებისას;
- **მდგომარეობის ბოროტად გამოყენება ან თაღლითობა** - ღონისძიება, რომელშიც გამოვლინდა რეგულაციების შეგნებული დაუცველობა სარგებლის მისაღებად ან არასწორი მართვისა თუ სხვა დარღვევის დასაფარად;
- **სისტემური რეფორმის საჭიროება** - უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არსებული და გამოვლენილი სისტემური ნაკლოვანებები, აგრეთვე არასწორი მართვისა და თაღლითობის განმეორებადი შემთხვევები, აგრეთვე გაცხადებული და მიმდინარე რეფორმები;
- **ბოლო პერიოდში არ ჩატარებულა აუდიტი** – ობიექტზე ჩატარებული აუდიტიდან გასულია რამდენიმე წელი

დანართი 2 – სახელმწიფო აუდიტის სამსახურის აუდიტორული საქმიანობის წლიური გეგმის შემაჯამებელი ანალიტიკური ფორმა

აუდიტის დეპარტამენტები	მთლიანი ჯამი	აფხაზეთი	აჭარა	ადგილობრივებ	საერთო დანიშნულებ	სოციალური	თავდაცვა	ეკონომიკ	ეფექტიანობ
სას–ის პასუხისმგებლობის სფეროში შემავალი უწყებების სახსრები მიმდინარე წლისათვის:									
საბიუჯეტო სახსრები									
საკუთარი შემოსავლები									
აუდიტისთვის შერჩეულ უწყებათა სახსრები მიმდინარე წლისათვის:									
სახსრები ბიუჯეტის შესრულების აუდიტებით									
საბიუჯეტო სახსრები									
საკუთარი შემოსავლები									
სას–ის 2014 წლის აუდიტის გეგმის მთლიანი მოცვა									
ბიუჯეტის შესრულების აუდიტებით									
2010									
2011									
2012									
2013									
2013 წლის ბიუჯეტის შესრულების აუდიტით									
სას–ის მოცვის კოეფიციენტი									
მოცვის კოეფიციენტი ბიუჯეტის შესრულების აუდიტით									

<i>აუდიტის დეპარტამენტები</i>	<i>მთლიანი ჯამი</i>	<i>აფხაზეთ ო</i>	<i>აჭარა</i>	<i>ადგილობრივებ ო</i>	<i>საერთო დანიშნულებ ა</i>	<i>სოციალური</i>	<i>თავდაცვა</i>	<i>ეკონომიკ ა</i>	<i>ეფექტიანობ ა</i>
ჩასატარებელი აუდიტების რაოდენობა:									
ჩასატარებელი აუდიტების რაოდენობა ბიუჯეტის შესრულების აუდიტის ჩათვლით:									
<i>ფინანსური აუდიტი</i>									
<i>შესაბამისობის აუდიტი</i>									
<i>ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი</i>									
<i>ბიუჯეტის შესრულების აუდიტი</i>									
<i>ეფექტიანობის აუდიტი</i>									
სას-ის თანამშრომელთა რაოდენობა:									
<i>წამყვანი აუდიტორი</i>									
<i>მთავარი აუდიტორი</i>									
<i>უფროსი აუდიტორი</i>									
<i>აუდიტორი</i>									
<i>აუდიტორ-ასისტენტი</i>									
<i>აუდიტორ სტაჟიორი</i>									